

საიდ. №77600/03

IR 1205787

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №99-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ლ. ახოზაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „მობილ ტელეკომ“ (Mobil TeleCom) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №99-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 07 აპრილის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №1433/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Maxim“ (საიდ. N77600/03, IR 1205787) დაცვის მინიჭება საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (39-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და

დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 07 აპრილის №1433/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული ნიშანი „Maxim“ მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „MAXIM'S LIMITED“ (მის: Barry House- 20-22, Worple Road, WIMBLEDON, LONDON SW19 4DH) სახელზე რეგისტრირებული ნიშნისა „MAXIM'S INTERNATIONAL BUSINESS TRAVEL CLUB“ (რეგ. N933579, რეგ. თარიღი: 22/11/2006). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშანი მთლიანად მოიცავს განცხადებულ ნიშანს, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას 39-ე კლასის მსგავსი მომსახურებისთვის. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „მობილ ტელეკომ“ (Mobil TeleCom) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი, სიტყვიერი ნაწილით „Maxim“, არ არის იმდენად მსგავსი დაპირისპირებული ნიშნისა, რომ იწვევდეს ამ სასაქონლო ნიშნების აღრევას. სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის საყოველთაოდ გამოყენებული მეთოდოლოგიიდან, რომლითაც ასევე, ხელმძღვანელობს საქართველოს საპატენტო უწყების ექსპერტიზა ცნობილია, რომ კომბინირებული სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველ შთაბეჭდილებას და მხოლოდ ამის მერე, ექცევა ყურადღება ნიშანში შემავალ ცალკეულ დეტალებს. დაპირისპირებული ნიშნების შედარებისას, პირველი შთაბეჭდილებით შეუძლებელია რაიმე მსგავსების დადგენა მათ შორის. სადავო ნიშანი სიტყვიერი ნაწილის გარდა, შეიცავს

გამოსახულებით ელემენტს, კერძოდ, სიტყვიერი ნაწილის ზემოთ განლაგებულ ხუთ კვადრატს, რომელთაგან ერთი წითელი ფერისაა, ხოლო დანარჩენი შავი. რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშანს, იგი მხოლოდ სიტყვიერი ელემენტებისგან შედგება. გარდა ამისა, საკმაო განსხვავებაა დაპირისპირებული ნიშნების სიტყვიერ ელემენტებს შორის, კერძოდ, განცხადებული ნიშანი შეიცავს მხოლოდ ერთ სიტყვას, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი შედგება ხუთი სიტყვისგან. ზემოაღნიშნულიდან აშკარაა, რომ პირველი შთაბეჭდილებით შეუძლებელია დაპირისპირებული ნიშნების ერთმანეთში აღრევა. რაც შეეხება დაპირისპირებული ნიშნების სიტყვიერი ნაწილების დეტალურ შედარებას, აქაც შეუძლებელია აღრევამდე მსგავსების დადგენა. აპელანტის პოზიციით, დაპირისპირებული ნიშნების სიტყვიერი ნაწილების აღრევა შეიძლება გამოიწვიოს მათმა მსგავსებამ დამწერლობით, ჟღერადობით ან აზრობრივად. როდესაც სასაქონლო ნიშნის სიტყვიერ ნაწილს აქვს აზრობრივი დატვირთვა მაშინ დაპირისპირებული ნიშნების მსგავსებაზე მსჯელობისას უპირველესი ყურადღება ექცევა აზრობრივი მნიშვნელობების მსგავსებას. ამ მხრივ დაპირისპირებული ნიშნები აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან დაპირისპირებული ნიშნის მნიშვნელობაა „მაქსიმის საქმიანი მოგზაურობების საერთაშორისო კლუბი“, ხოლო სადავო ნიშნის სიტყვიერი ნაწილის მნიშვნელობაა „მაქსიმა“ ანუ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება (იხილეთ მაგალითად ელექტრონული ლექსიკონი ABBYY Lingvo). დამწერლობითა და ჟღერადობითაც აღნიშნული ნიშნები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. აპელანტის მითითებით, ერთადერთი მსგავსება სადაო და დაპირისპირებულ ნიშანს შორის არის ამ უკანასკნელის შემადგენლობაში შემავალი სიტყვიერი ელემენტი „MAXIM'S“ და სადაო ნიშნის სიტყვიერი ელემენტი „MAXIM“. ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, მხოლოდ ეს უკანასკნელი ასპექტი არაა საკმარისი დაპირისპირებული ნიშნების აღრევამდე მსგავსების დასადასტურებლად, თუმცა ამ ერთი შეხედვით მსგავსებაშიც არის ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც საკმაოდ განასხვავებს დაპირისპირებულ ნიშნებს. ეს ელემენტია დაპირისპირებულ ნიშანში შემავალი

ასო-ბგერა „S“ და მის წინ განლაგებული აპოსტროფის ნიშანი. აღნიშნული ასპექტი გამოსახავს კუთვნილებას, რაც შესაბამისად, უზრუნველყოფს მომხმარებელში საკმაო განსხვავებას (როგორც აზრობრივად, ასევე დამწერლობით და ქდერადობით) სადაო და დაპირისპირებულ ნიშნებს შორის. აპელანტის განმარტებით, ცალსახად ჩანს, რომ სადაო ნიშანი და დაპირისპირებული ნიშანი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან და მათი ერთმანეთში აღრევა პრაქტიკულად გამორიცხებულია. აღნიშნული მოსაზრება დადასტურებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული, დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანიის „MAXIM'S LIMITED“ მიერ გაცემული თანხმობის წერილით, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანია თანახმაა, რომ აპელანტი კომპანიის სახელზე სასაქონლო ნიშანს „Maxim“ (საიდ. N77600/03, IR 1205787) მიენიჭოს დაცვა საქართველოში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 07 აპრილის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №1433/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Maxim“ (საიდ. N77600/03, IR 1205787) დაცვის მინიჭებას საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Maxim“ (საიდ. N77600/03, IR 1205787) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „MAXIM'S INTERNATIONAL BUSINESS TRAVEL CLUB“ (IR 933579), აღრევამდე მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული ნიშანი კომბინირებულია და შეიცავს დამატებით ელემენტებს, მასში დომინანტი ელემენტია, სიტყვიერი აღნიშვნა „Maxim“, რომელიც აღრევამდე მსგავსია დაპირისპირებულ ნიშანში შემავალი დაცვისუნარიანი ელემენტისა „MAXIM'S“. ამასთან, დაპირისპირებულ ნიშანში შემავალ სხვა სიტყვიერ ელემენტებს: „INTERNATIONAL BUSINESS TRAVEL CLUB“ არ გააჩნიათ სამართლებრივი დაცვა, რადგან ისინი წარმოადგენენ აღწერილობით ელემენტებს 39-ე კლასის მომსახურების რეგისტრირებული ჩამონათვალის მიმართ და შესაბამისად, ნიშნების შედარებისას მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული. ამასთან, განცხადებული ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი ვერ სძენს ნიშანს საკმარის განმასხვავებლობას.

გარდა ამისა, დაპირისპირებული ნიშნები ქართველი მომხმარებლის მიერ მსგავსად გამოითქმის: „მაქსიმ“ - „მაქსიმს“. ფონეტიკურად ნიშნებს მხოლოდ დაპირისპირებულ ნიშანში არსებული ერთი თანხმოვანი - „ს“ განასხვავებს, რაც კიდევ უფრო ზრდის ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

მსგავსია ასევე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების 39-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Maxim“ (საიდ. N77600, IR 1205787) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის

თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „მობილ ტელეკომ“ (Mobil TeleCom) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 07 აპრილის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №1433/03 ბრძანება.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ლ. ახოზაძე

ს. ებრალიძე